

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 9 მარტის სხდომის

ოქმი №4

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 25 წევრიდან, ესწრებოდა 22. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სენატის კომისიების თავმჯდომარეების არჩევა და კომისიების შემადგენლობების ფორმირება. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად ვასახელებ პროფ. დავით ჯაფარიძეს, სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად პროფ. იგორ კვესელავას, მეცნიერებისა და ბიზნეს ინოვაციების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად პროფ. დავით ნოზაძეს და სოციალური, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად პროფ. მზია მილაშვილს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი კანდიდატურები კენჭისყრის შედეგად დამტკიცდნენ.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 9 მარტის №4 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სენატის კომისიების თავმჯდომარეების არჩევისა და კომისიების შემადგენლობების ფორმირების შესახებ.

სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდა პროფ. დავით ჯაფარიძე, სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. იგორ კვესელავა, მეცნიერებისა და ბიზნეს ინოვაციების

საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. დავით ნოზაძე და სოციალური, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ – პროფ. მზია მილაშვილი.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს – სტუ-ში საიჯარო საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, სენატმა დააყენა საკითხი: შეიქმნას სტუ-ში საიჯარო საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. დავით ჯაფარიძე – თავმჯდომარე
2. პროფ. ზურაბ ლომსაძე – წევრი
3. პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – წევრი
4. პროფ. მერაბ ახოზაძე – წევრი
5. პროფ. ნოდარ კოდუა – წევრი
6. პროფ. ბადურ ჭუნაშვილი – წევრი
7. პროფ. იგორ კვესელავა – წევრი
8. ბ-ნი კობა სოხაძე – წევრი
9. ბ-ნი ბექა მაისურაძე – წევრი
10. ქ-ნი მზია პაპიაშვილი – წევრი

სტუდენტები:

11. ბექა კოპაძე – წევრი
12. თამარ ბუზიაშვილი – წევრი

წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ მ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 9 მარტის №4 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ში საიჯარო საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, სენატმა გადაწყვიტა: შეიქმნას სტუ-ში საიჯარო საქმიანობის შემსწავლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. დავით ჯაფარიძე – თავმჯდომარე
2. პროფ. ზურაბ ლომსაძე – წევრი
3. პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – წევრი

4. პროფ. მერაბ ახოზაძე – წევრი
5. პროფ. ნოდარ კოდუა – წევრი
6. პროფ. ბადურ ჭუნაშვილი – წევრი
7. პროფ. იგორ კვესელავა – წევრი
8. ბ-ნი კობა სოხაძე – წევრი
9. ბ-ნი ბექა მაისურაძე – წევრი
10. ქ-ნი მზია პაპიაშვილი – წევრი

სტუდენტები:

11. ბექა კოპაძე – წევრი
12. თამარ ბუზიაშვილი – წევრი

დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს, პროფ. დავით ჯაფარიძეს: უზრუნველყოს 2 კვირის განმავლობაში აღნიშნული საკითხის შესწავლა და სტუ-ს შესაბამისი სამსახურებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით დასკვნა წარუდგინოს სენატს.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს – პროფ. ზურაბ ლომსაძის სენატის წევრად უფლებამოსილების ცნობის შესახებ. სენატის წევრობის კანდიდატად რექტორმა წარმოადგინა სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი დირექტორი, სრული პროფესორი, ბატონი ზურაბ ლომსაძე.

სენატის წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა პროფ. ზურაბ ლომსაძის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 9 მარტის №4 სხდომაზე განხილულ იქნა სტუ-ს რექტორის, ბატონ არჩილ ფრანგიშვილის მიერ წარმოდგენილი საკითხი სენატის წევრობის კანდიდატად სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის, სრული პროფესორის, ბატონ ზურაბ ლომსაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სენატის წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა პროფ. ზურაბ ლომსაძის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №619 – მომხს. პროფ. ოთარ გელაშვილი.

პროფ. ოთარ გელაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 9 მარტის №4 სხდომაზე პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №619.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტის შექმნის საკითხი.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის” ჩამოყალიბების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №613 – მომხს. პროფ. ოთარ გელაშვილი.

პროფ. ოთარ გელაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის” ჩამოყალიბების შესახებ.

წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 9 მარტის №4 სხდომაზე პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ ჩამოყალიბების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №613.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის №410 დადგენილების საფუძველზე სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ ჩამოყალიბების საკითხი და აღნიშნული ცვლილება შევიდეს ფაკულტეტის სტრუქტურაში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს „ჰიდროინფორმატიკის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №617 – მომხს. პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: წარმოადგენთ საკითხს სტუ-ს „ჰიდროინფორმატიკის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ცენტრის მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო, საინჟინრო და სამეწარმეო პოტენციალის მოზიდვა და მისი გამოყენება ქვეყნის მეურნეობაში არსებული გამოყენებითი სახის ჰიდროსაინჟინრო, ჰიდროლოგიური, გამოთვლითი ჰიდრაულიკის და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების, მართვის და მოდელირების ამოცანების გადაწყვეტისათვის ჰიდროინფორმაციული კომპიუტერული პროგრამების საფუძველზე; აგრეთვე, ამ მიმართულებებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარება, ტრენინგების ჩატარება, სპეციალისტების გადამზადება. გეტყვით, რომ ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით.

წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 9 მარტის №4 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ჰიდროინფორმატიკის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №617.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს „ჰიდროინფორმატიკის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,
პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,
სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი